


ქვირა, 9 აგვისტო | მიილება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე | № 32 — 1915

# ძმანი უაზგევნი

ომში და უბედურად დაღუპულნი, გიორგი უაზბეგის შვილნი

ალექსანდრე

ნიკოლოზი

კონსტანტინე

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხეიდის ბრ. № 131

საუტხოვო საზაფხულო როტონდით, სტენით და მშვენიერი, ელექტრონით განათებული, ბაღით.

| | |
|---|---|
| პარასკევს, 7 აგვის. | სინემატოგრაფი და საზნდარი |
| შაბათს, 8 აგვისტოს | სალამო-მეჯლისი |
| კვირას, 9 აგვის. | საბავშო სალამო მანდოლინისტების გუნ. |
| ორშაბათს: 10 აგვის. | სინემატოგრაფი; საზანდარი |
| სამშაბათს 11 აგვის. | ორკესტრი |
| ოთხშაბათს 12 აგვის. | ქართული წარმოდგენა, |
| ხუთშაბათს 13 აგვის. | საზანდარი საბავშო სალამო |
| პარასკევს 14 აგვ-ს. | ორკესტრი სიმებიანი |
| შაბათს 15 აგვის, | სალამო-მეჯლისი |
| კვირას 16 აგვ. | მანდოლინისტების გუნდი |

დასაწყისი სალამოს $8^1/_2$ საათზე.

შესავალი ფასი: მამაკაცნი იხდიან, — 30 კ. ქალები და სტუდენტები — 20 კ.

წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი — $8^1/_2$ ს., საბავშვო სალამო — 5—9 ს.

---


## ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

подъ редакціей **„РАМПА и ЖИЗНЬ“** Л. Г. Мунштейна (Lolo)

Театръ. — Музыка. — Литература. — Живопись. — Скульптура.

Съ 1-го іюля по 1-ое января 1916 г. — 3 р. 50 к.

Съ роскошно-иллюстрированной преміей

**ГАЛЛЕРЕЯ СЦЕНИЧЕСКИХЪ ДѢЯТЕЛЕЙ (томъ I) 5 руб.**

Адресъ конторы: Москва, Богословскій пер., (ул. Б. Дмитровка), д. 1. Тел. 2-58--25

Можно подписываться по телефону 2-58-25. Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней и субботъ отъ 12—3 часовъ дня. ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также въ Москвѣ у Н. И. Печковской (Петровскія Линіи), въ книжн. магазинѣ: „Новое Время“ (въ Петроградѣ, Москвѣ и провинц. городахъ), въ музыкальн. магазинахъ В. Бессель и К°. (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ. (Москва—Петроградъ.) Л. Издиковскій (Кіевъ) и во всѣхъ книжныхъ магазинахъ г. Москвы и провинціи.

Цѣна объявленій впереди текста—75 коп., за строку петита, позади текста—50 к. (4—2)

## № 32

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

წელიწადი მესამე

№ 32 კვირა, 9 აგვისტო 1915 წ.

# 9 აგვისტო

**ვინ იქნება თითო აგური დაიშუროს!**

ვაჟა ერთს თავის სიმღერაში ამბობს—ჩვენში „თქმა არი – საქმე კი არაო!“ და უსაქმო ლაპარაკს იმდენად შევჩვევივართ, რომ უდიდეს შვებას, სულიერ კმაყოფილებას, მხოლოდ მოქარგულ სიტყვებში ვხედავთ...

თეატრის აგებასაც მხოლოდ ლაპარაკით ვფიქრობთ ..

ქართული თეატრის დაწვამ რომ დიდათ შეაფერხა ჩვენი სასცენო ხელოვნების წინსვლა, ეს ჩვენ არა ერთ გზის აღგვინიშნავს და თვით საზოგადოებაც ჰხედავს ამას: მსახიობთა დაქსაქსვა, გაპამპულავება, სასცენო ხელოვნების დაცემა .. აი, რა მოჰყვა ქართული თეატრის დაწვას ..

ეს ერთი. მეორე—რა პირით უნდა შევხედოთ გარეშესა თუ შინაურ მტერ-მოყვარეს ანუ მომავლის სამჯავროს, როდესაც ჩვენს დედა-ქალაქში არა ვსცდილობთ დროით ავაგოთ ჩვენი ეროვნული თვითარსებობის ლამპარი?!

ახლა იმას კი აღარა გვკითხავენ - ვინა ხართო, არამედ—რა გაბადიათ, რის პატრონშემძენელი ხართო?!

მართალია, თითქმის ერთი წელიწადია, რაც თეატრის ამგები კომიტეტი ავარჩიეთ, ერთხანად ფულების შეგროვებაც დავიწყეთ, მაგრამ.., გავიდა დრო და გულიც გაცივდა .

ქვეით ვბეჭდავთ ბ-ნ გ. ვძელიშვილის საყურადღებო წერილს, რომელშიაც პატივცემული ავტორი გვირჩევს დაბა-სოფლებში კომიტეტების არჩევას. (ესევე ბ. გძელიშვილი იყო, რომ „ახალ კლუბში“ მოითხოვა ყოველ კერძსა თუ სასმელებზე და შესავალზე თითო შაურის მოემატება. ამ შაურობლივ დღემდე შეგროვილა 4017მ., თვიურად 400მ-დე შემოდის). თუ მართლა ქართული ეროვნული თეატრის აშენება გადაგვიწყვეტნია და მცირე თანხა უკვე შეკრებილია, (დღემდე შემოსულა 10,000 მ-დე.) საქმე არ უნდა მივაძინოთ და ბ-ნ გძელიშვილის პრაქტიკულ ჩვენებისამებრ, ყველა დაბა-სოფელში ადგილობრივი სანდო პირებისაგან შემდგარი კომიტეტები ავარჩიოთ, ჩვენი მომავალი ეროვნული თეატრი მთელი ერის კუთვნილება უნდა იყოს, ამ ერის მადიდებელი და მაშ, როგორც წინადაც ვსთქვით, თვით მთელმა ერმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ თეატრის აგებაში.

თუ ზევით სძინავთ, დაე, ქვევით გაიღვიძონ: ჩვენი ერი მუდამ მზრუნველების ხელთ ხომ არ უნდა იყოს, ერთხელაც არის თვითმოქმედების გზას უნდა დაადგეს...

ფულის შესაკრებ ! ხვა მრავალ საშუალებათა შორის, საჭიროა გამოვცეთ „აგურები“ — აგურის ნასახი მცირე ბარათები, თითო ორშაურიანი (ანუ მეტ ნაკლებ ფასიანი) ზედ წარწერით „ქართული ეროვნული თეატრის ასაგებად“. ეს ბარათები უნდა დარიგდეს მთელ საქართველოში და და თუ საქართველოს გარედაც მოითხოვენ —იქაც. ბარათების გაყიდვა-გავრცელება მიენდობა: სათეატრო კომიტეტებს, წვრილ კრედიტის ამხანაგობათ, მასწავლებელთ, მღვდელთ და სხ., ვინც ნდობის ღირსი იქნება და ისურვებს ბარათების გავრცელებას.

ვინ იქნება თითო აგური არ იყიდოს

თვისი ეროვნული სიამაყისა და სრულ ყოფის გამომსახველ ტაძრის ასაგებად?! ათსა, ასსა და ათასს რომ ბევრი იყიდის - ამაში ეჭვიც არ უნდა დაგვებადოს...

ამის მოწყობა ძნელი არ არის, საჭიროა მხოლოდ ნებართვის აღება და საქმის დაწყება: დიდ ხარჯს არ მოითხოვს, მაგრამ ორშაურობით დიდი თანხა კი შესდგება...

ჩვენი სამლოცველო თუ თვითონ არ ავაგეთ, სხვანი არ გვაღირსებენ... ცალიერი „ღმერთო გვიშველეო“! რომ ვიძახოთ, აღელვებულ ზღვიდან სამშვიდობოს ვერ გავალთ, თუ თვითონაც ხელი არ გავანძრიეთ!..

გულ ხელ დაკრებილნი რო წამოვწოლილვართ და ვაშლს შევსცქერით—„ერთი მოსწყდეს და პირში ჩაგვივარდესო!“—არას გვარგებს...

დროა უქნარობას თავი დავახწიოთ!..

**თვითმოქმედება**

ჯერ ისევ შოთას და ალბად, მაშინდელ ქართველობასაც, კარგად გათვალისწინებული ჰქონდათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში თვითმოქმედებას, საქმის თავნებას, თაოსნობას.

„თუ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ იხსენები“-ო,—

ამბობს უკვდავი მგოსანი რუსთაველი.

სულ სხვაა დღეს ჩვენში.

არავის არ სურს თავისი საქმე თვითონ გააკეთოს, თვითონ ითაოს, აწარმოოს.

ვაშენებთ ეკლესიას—სხვას ვიწვევთ, ვაშენებთ თეატრს—სხვას ვაბარებთ თაომდგომობას.

გვინდა აღვადგინოთ ძველი მხატვრობა—სხვას ვავალებთ თავნებას.

გამოსაცემი გვაქვს ლექსიკონი, დაბადება თუ სხვა რამ ძეგლი, ისევ უცხოს შევყურებთ ხელში.

იტყვით, ჩვენ თავად, ჩვენის თაოსნობით და თავნებით არაფრის გაკეთება არ გვინდა.

ჩვენებური უმაღლესად განათლებულებიც-კი სხვათა თავ-მობმულები ბრუნდებიან და იმ სხვათა თვალთ-საზრისით აშუქებენ ჩვენს მოჭირნახულე წარსულს...

ისე ვიქცევით, ვითომ ყველანი თავდაწყვეტილები ვართო და არაფრის უნარი არა გვაქვსო!

სხვას ვის შეუძლიან ჩვენი საქმე ისე გააკეთოს, როგორც გავაკეთებთ ჩვენ თვითონ?

სხვას ვის შესტკივა ჩვენთვის გული ისე, როგორც ჩვენ თვითონ?

შეიძლება სხვამ დღეს ჩვენზე კარგა იცოდეს ჩვენთვის საჭირო საქმის ხელი, მაგრამ ნუ თუ ეს გვავალებს ვისხდეთ უმოქმედოდ?

ყველა საქმე ვითარდება თანდათანობით. შევასრულებ იმას, რაც ხელით გამომდის, ხვალ და ზეგ ნაკლულევანებას შევავსებ და წარემართება საქმე. შვილები და შვილის-შვილები გააუმჯობესებენ, რადგან შეუძლებელია, —თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა,—რომ თვითმოქმედ მშობლებისა და მამების შვილებმაც არ შეიყვარონ თვითმოქმედება, საქმის თაოსნობა, თავნება.

ვიმეორებ: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.

მაშ ამიერიდან მაინც ერთურთს დავეყრდნოთ და საკუთარი საქმე საკუთარის თავით ვაწარმოოთ.

„რაც მოგივა დავითაო,
სულ შენივე თავითაო“.

დიაღ, დღესამომდე რაც წაგვხდენია, სულ ჩვენივე უთაურობით.

იმედია, დღეის შემდეგ მაინც ჩვენს თავს ჩვენვე მოვუვლით..

**მ. ჯანაშვილი**

# ვაჟა-ფშაველას დაუბეჭდავი ლექსები

I

ექსპრომტად ჩაწერილი კნ. ელისაბედ ირაკლის ასულის ორბელიანის ალბომში:

რა მოვიგონო, ან რა დავსწერო,
დღე და ღამ ვსტირი, გულს მაწევს სევდა.
ერთი დარდი მაქვს, ერთი ნაღველი,
საგანი ნაღვლის,—ქართველი დედა.
იმასთან ერთად ივერის ბედი,
დღეს უპატრონო,—მას უნდა შველა,
და ალბომებში ლექსების წერით
გახდება რამეს ვაჟა ფშაველა?!

1908 წ. 18 დეკემბერს.

II

ექსპრომტად ჩაწერილი დახასიათება. მ. ლობჟანიძის უბის წიგნში:

ვინც მარადად დადის, ყველაფერსა გრძნობს,
თუ მასთან გარჯაც არ ეზარება,—
ნაყოფს მოუტანს სამშობლო მხარეს.

1908 წ. 18 დეკემბერს.

# მოთქმა

### ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

შავი ჩაიცვით ქედებო, ცრემლი აწვიმეთ არეთა,
ზარი უმღერეთ მიდამოს, ქვეყანა შეაზარეთა,
ან თვით ეწვიეთ იალბუზს, ან თქვენთან დაიბარეთა,
აუწყეთ გმირის სიკვდილი და ერთად იმწუხარეთა!..

დადუმდა ენა მეტყველი და ჩანგი ტკბილად მღერალი.,
დაჰკარგეთ მესაიდუმლე... თქვენთა ზრახვათა მღერალი,
ჟამთა სვლამ, ჟამთა სრბოლამა გაჰკვეთა გული მძგერალი
და დაიხუჭა სამუდმოდ გონების თვალი მცქერალი.

აწ ვინ აგიწერთ უზადნო, თქვენთა სიტურფეთ სრულადა,
ბორცვ-ბუჩქნართ ვინ გადაუსვამს თავზე ხელთ მეგობრულადა,
ან ვინ დაგყივლებთ ზარის ხმით არწივებრ გაბედულადა,
რომ ვერ ბედავდენ სვავები თქვენს თხემზე ქროლვას მტრულადა?

შავი ჩაიცვით ქედებო, იკვნესეთ-ივაგლახეთა,
ბანი უთხარით მთა-ველებს, ცრემლთა ნაკადი ღვარეთა,
ცასა შესძახეთ, რომ ვაჟას ძირს მიწა გავუთხარეთა
და აწ ვერ ნახვენ ვარსკვლავნი მას ტკბილად მოუბარეთა..

ბ. პელაშვილი

ვაჟა-ფშაველა

# ვაჟა-ფშაველა

(მოგონება)

უკვდავთა შორის ჩარიცხული ჩვენი დიდებული მგოსანი ვაჟა-ფშაველა გავიცანი წ. კ. ს-ის წიგნის მაღაზიაში, მგონი 10 წ. წინად. გამაცნო შიო მღვიმელმა, რომელთანაც ძალიან დაახლოვებული იყო განსვენებული.

მე დაუახლოვდი 1908 წ. აკაკის იუბილეის დროს. ანდამანტივით მიზიდავდა „მთის არწივი“ თავისი მშვენიერი შეხედულობით, ვით საღი-კლდე, ღრმა გამომეტყველი თვალებით, რომელნიც მიტაცებდნენ და ამასთანავე დინჯი და დარბაისელი ხასიათით, როგორც საზოგადოდ შეეფერებათ მთიელთ.

ამ უკანასკნელ ხანში ძალიან მოსტეხა წელში ავადმყოფობამ: ჯერ ციმბირის წყლულმა, შემდეგ ჭაობის ციებამ (მალიარია) თავისი ზედნადები ტფირფით და ბოლოს-კი პლევრიტმა, რომელმაც იმსხვერპლა კიდეც ხორციელად.

1908 წ. როდესაც მთელი საქართველო შეიკრიბა თბილისში აკაკის იუბილეის დროს, არც ვაჟა გამოაკლდა ამ საერთო ზეიმს, სადამი ეძღვნა უფროსი ამხანაგისათვის; იუბილეის მოჰყვა ბანკეტი „კრუჟოკში“. ვაჟამ მაშინ პირველად გაიცნო ჩვენი „ბი-მონდი“: უგანათ. კნ. თამარ დავითის ასული გრუზინსკისა, კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა და სხვანი საშინლად მოხიბლა ჩვენი მგოსანი კნ. ელისაბედ ირაკლის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ, თავისი მართლაც მეფური შეხედულობით, სადა და ამასთანავე ლამაზი და გრაციული მომხიბლავი ქცევით, რომელიც დიდად განსხვავდება სხვათა მრავალთაგან. ვაჟას ძალიან იამა, რომ კნ. ელისაბედ ორბელიანისა შვილებს ზრდის ეროვნულ ნიადაგზე და ამით დიდებულმა მგოსანმა უძღვნა ბატონიშვილს შე-

სანიშნავი ლექსი, რომელიც ჩაუწერა ალბომში ექსპრომტად. (იხ. მეორე გვერდზე)

შარშან შემოდგომაზე ქ. დუშეთში მომიხდა ყოფნა. საღამო ჟამს გავრცელდა ხმა, ვაჟა ჩამოვიდაო. მთელი იქაური ინტელიგენცია დაფაცურდა და დიდის ამბით გაუმართა ვახშამი სასტუმრო „არაგვში“ სოფ. ბაზალეთის მასწავლებლის დათიკო კობიაშვილის მეთაურობით, რომელიც ძალიან ახლო მეგობარი იყო ვაჟასი. მეორე დღეს თბილისში ცნობილმა ექიმმა მულინმა და თქვენმა უმორჩილესმა მონამ გაუმართეთ სადილი, რომელსაც დაესწრო, სხვათა შორის, ერთი უკეთილშობილესი ადამიანი ჯენტლმენი პოლკოვნიკი ვ. კვინიხიძე. იმ დღეს ცუდად გაგვიხდა ვაჟა, გეგონებოდათ ნისლი გადეკრაო, როგორც თავის საყვარელს მთებს. გასინჯა ექიმმა მულინმა და აღმოაჩინა დამპალი ციება (მალიარია) ტეირფით. ექ. ურჩია დასვენება მთაში და აგრეთვე წამლობა, მაგრამ განსვენებულმა, როგორც მოქალაქემ, არ უღალატა მთის საქმეს და მეორე დღეს გასწია შირაქს თუშების საქმის შესახებ.

წრეულს ჩვენი მგოსანი შემხვდა 19 აპრ. ქვაშვეთის ეკლესიაში ნეტარ-ხსენებული ნიკო ლომოურის პანაშვიდზე. იქ გამოვეთხოვე რადგანაც მეორე დღეს მომიხდა რუსეთს წასვლა. მაისის ბოლო რიცხვებში იქაურ რუსულ გაზეთებში აღნიშნული იყო მოკლე ცნობა: ქართველი მგოსანი ვაჟა-ფშაველა ძლიერ ავად შეიქნაო“. ამ მოკლე ცნობამ ძალიან შემაწუხა და მაშინვე მოვწერე წერილი რუსეთიდანა. რომ ჩამოვედი იმ წამსვე ვინახულე განსვენებული. მაჩვენა ჩემი წერილი. მოჰყვა ქვითინს და მითხრა:—„აბა, შემომხედე, როგორ კალიაში ვარ დამწყვდეული, არ გეცოდება ვაჟაო!“

განსვენებული სულ წმინდა, მთის ჭაერს ნატრობდა და.,. ეღირსა კიდეც, ჩვენდა საუბედუროდ: აწ იგი განისვენებს იქ, სადაც იკრიბებოდა საქართველოს მხედრობა, ჩვენი წარსულის გვირგვინის თამარ დიდის წინამძღოლობით, რომ მამული თავისი დაეფარნათ... იქ, სადაც განისვენებს დამტირებელი „ქართლის ბედისა“ ნ. ბარათაშვილი, მე-20-ცე საუკუნის ერთი უდიდებულესი მოაზრეთაგანი ახალი საქართველოისა არჩილ და სხვანი...

ვაჟა იყო ერთი უორიგინალესი მგოსანი და ჩვენი, მართლაც, ღვთისა და კაცის-მიერ დავიწყებული მთის მფარველ-პატრონი...

**მიხ. ლობჟანიძე**

# ბუნების გლოვა...

**ვაჟას გარდაცვლაზე.**

მზე გადიხარა,
ცა მოიღუშა,
მთას გადეფარა ბნელი ზეწარი
და დედა-მიწას, ვითა მშობლსა, მოსწყდა გულიდან სული მკვნესარი. .

—

— ვაჟა!!...
გაჰკივლა ქარმა ხევისამ;
— ვაჟაი, მოგჳტაცა სიკვდილმაი. .
დაიზუზუნა ქროლვით ბარისამ.
— ვაჟა!!...
მათ ბანი მისცა არაგვმა, ვითა მგზარემ მთისამა. .
და ეს ხმა, ვითა ობლისა, ჩაერთო მტკვრისა დუდუნსა...

—

მზე გადიხარა,
ცა მოიღუშა,
მთას გადეფარა ბნელი ზეწარი
და დედა-მიწას მოსწყდა გულიდან:
სული შვილისა,—უტყვ სულიერთა, მოციქულისა...

**ს. გლახაშვილი**

## მთის არწივი

მთის შვილო, მთისა არწივო,
მონათესავე მთვარისა,
უუქურ ვარსკვლავის ნაშობო,
მწერალო მთა და ბარისა,
დარაჯო, მწყემსო ფხიზელო,
შენი სამშობლო მხარისა,
სიკვდიმდე მისთვის მფიქრალო
და მისთვის მჟღერო ქნარისა:
შენ ჩვენთვის გარდაიცვალე,
ველარ გიხილავს თვალია,
რადგანაც მიწა დღეიდან
დაგფარავს, როგორც შალია,
მაგრამ ნეტარ ხარ, რომ ისე
გალიე გზა და კვალია,
რომ არას დროს დაგივიწყებს
აწმყო და მომავალია...

მე არ მგონია კვდებოდეს
მუდამ სხვის გულში მჯდომარე,
მოჭირისუფლე თვის ხალხის
და არ უსაქმოდ მჯდომარე.
რათ დაგვაობლე? სამშობლო
ჯერ კიდევ დაღვრემილია:
ჯერ ხომ არ გაგვთენებია
დღე სანეტარო, ტკბილია!..
გაგვშორდი.. მაგრამ ნეტარ ხარ.
არ მკვდარო, მხოლოდ მძინარე,
რომ ისე განვლე ცხოვრება,
მიდიხარ პირ-მომცინარე...

**ვ. ღვანკითელი**

**ძვირფასს დანაკარგს, სამშობლოს სიამაყეს და სასიქადულო პოეტს—მთის არწივს მცხოვან ვაჟა-ფშაველას.**

**დაჭრილი მთის არწივი**

ნატრობდა ყვავ-ყორნის ბუმბულის ჰენტვას... მაგრამ, ვით შეესწრობოდა, როცა თვითვე ისე ღრმად ჰგრძნობდა ჭრილობას და ტყვეობას!!!.. უკვე იმსხვერპლეს!!!...

—

ეხეთქება კიდით-კიდეს,
არა სცხრება გლოვის ზარი,
შავბედით გამოტყორცნილი
კვლავ ღრმად შეგვესო ისარი.

—

სამშობლო ცასა მოგვიწყდნენ
ვარსკვლავნი მოციმციმენი,
სალი კლდე ყინულიანი
აცრემლდა კავკასიონი.

—

იალბუზს შუბლი შეუკრავს:
აღარ ჰყავს ბერი არწივი,
ამირანსა ხორცს სჯიჯგნიან
და ეხვევა ყვავ-ყორანი!!!

—

დაკოდილი კვლავ დაჰკოდა,
ეს სამშობლოს ძუძუ-მკერდი.
და სავანეთ გაიხადა
მთის არწივთა საბუდარი!!

მოგვიკვდა ჩვენი დაჭრილი მთის არწივი?!! მოგვიკვდა ჩვენი სასიქადულო—სიამაყე, ჩვენი ლიტერატურის ახალი არშიის ფეიქარი (სიმბოლიზმის შემტანი) ვაჟა-ფშაველა?!!... და როსდა ვეღირსებით ხუნდებისგან მათ ღონობას?!!...

არა, არა, არა მჯერა არ მომკვდარხარ მთის არწივო!..

კვლავ ცოცხალი ხარ, კვლავ მამაცი ხარ,
კვლავ შენს ბუდეზე გვეზრდება ხუნდი*)!!

კაჭრეთელი გლეხი **დ. სოლოღაშვილი**

# სამგლოვიარო

ჰსურთ დამარწმუნონ, მთის არწივი ვაჟა აღარ სცოცხლობსო; ვინ დაიჯერებს, რომ მისი ძლიერი ფრთათა რხევა, მისი თავგანწირული ყივილი, რომლითაც მშრომელ ხალხს სამშობლოს განახლებისთვის მოუწოდებდა, ოდესმე შესწყდეს?

კავკასიონის მთის მწვერვალებს და საქართველოს მიდამოებს ქარიშხალი მუდამ უმღერებს ვაჟას სიმღერებს... სტიროდენ მთის ველური ყვავილები, რომ მათ დაჰკარგეს თვისი მესაიდუმლე.

დეე, განისვენოს მთის არწივმა თავ-განწირულ ყივილის შემდეგ, მშრომელი ხალხი თვის ცრემლებით განბანს მის ცხედარს. და ველური ყვავილები თვის მშვენიერებით შეამკობენ მის საფლავს...

მიხ. ჯავახიშვ

**ჩვენს დაუვიწყარ მგოსანს**

ოჰ, რა გიქნია, შავო სიკვდილო,
ოჰ, რათ დაბნელდა ფშავში მთა-ველი:
ოჰ, უსამართლო, ფლიდო ჯალათო,
რისთვის მოგვტაცე ვაჟა-ფშაველი?
ოჰ, რათ გაახმე ხე ნეტარების
ქართვლის დიდება—ერის მგოსანი:
უხვი მუშაკი, დაუღალავი
ფუტკარი, მსხვერპლი პატიოსანი!..

**ვ. როინიშვილი.**

*) ხუნდი—არწივის ბარტყი.

**მ. კვალიაშვილი**
სახალხო სცენაზე მოღვაწეობის 15 წ. შესრულების გამო.

მ. კ-ლმა თბილისის თეატრში დაიწყო მუშაკობა, შემდეგ დაბა ხაშურს რო გადიყვანეს, ადგილობრივ სცენის მოყვარეებთან ერთად მხნედ შეუდგა პროვინციის სცენაზე მოღვაწეობას. 16 აგვისტოს გაიმართება მისი სასცენო მოღვაწეობის 15 წლის შესრულების სამახსოვრო წარმოდგენა.

**ალი-ძამია**

# დავაჩქაროთ თეატრის შენობის აგება

როცა ქართული თეატრის შენობა დაიწვა, ჩვენ იმდენად დავნაღვლიანდით, ისე აღვიმსენით ბოღმით, რომ უბედურობის გამოთქმასაც ვერ ვახერხებდით...

დიდი უბედურება მოგვიხდა! ამას გრძნობდენ ყველანი, არამც თუ ჩვენ, ქართველნი, სხვანიც...

მაშინ ჩვენ ყველანი მარტო იმაზე და ვფიქრობდით, რომ ახალი თეატრი აგვეშენებინა. ვჩქარობდით... რაც შეიძლება ჩქარა გვსურდა ამ ეროვნულ ჭრილობის გამთელება, გვსურდა თეატრის ჩქარა აშენება და არა იმიტომ, რომ გასართობი ადგილი აღარ გვქონდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ეროვნულ საქმეს მოაკლდა უმძლავრესი ეროვნული ფაკტორი. ვჩქარობდით, გვსურდა... და ამ დიდმა სურვილმა კიდეც აგვამოქმედა. დავაარსეთ კომისსია და დავიწყეთ ფულების შეგროვება...

ჩვენდა საუბედუროთ გაძლიერდა ზარბაზნების გრიალი და ახალმა ცეცხლმა მიაძინა ეს ჩვენი ეროვნული საქმე. მივატოვეთ ფულების მოგროვება და თითქმის აღარავინ ფიქრობს თეატრის შენობაზე, მის აგებაზე...

ზოგიერთი მიეცა ჩვეულებრივ ტკბილს ოცნებას; დაიცა, ვინმე მილიონს გადმოგვიგდებს და თეატრი აშენდებაო. ამ ოცნების სიტკბოებამ ბევრი კიდეც დაამშვიდა...

ხოლო ჩვენი სცენა-კი, ბინა დაკარგული დაწანწალებს აქა-იქ და განიცდის უკიდურეს გაჭირვებას...

არტისტს, დრამატურგს, საზოგადოებას თანდათან უგრილდებათ გული და ვეჩვევით საკუთარი სცენის უქონლობას...

დაგვავიწყდა ამ ახლო ხანში მომხდარი სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა; დაგვავიწყდა ამ ყრილობაზე წარმოთქმული გრძნობიერი სიტყვები; დაგვავიწყდა ამ კრებებზე აღნიშნული დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჩვენის სცენისა; დაგვავიწყდა ყველა ის, რამაც თეატრის დაწვის პირველს დღეებში ჩვენ ყველანი აგვატირა...

საბრალო ქართულო სცენავ!

განა თუ ის ბედნიერი დღეები, ის დიდი სურვილი ჩვენი სცენის გაუმჯობესებისა, ის მზადება და ფიქრები სცენის გადონიერებასა და გაძლიერებაზე, განა ყველა ეს უბინადრობას, სხვის ჭერ ქვეშ შეფარებას და აქა იქ წანწალს უქადოდა ქართულ სცენას?!..

განა მთელს ჩვენს ერს ვერ შეუძლიან, რაც უნდა გაჭირვებაში ვიყოთ, ერთი თეატრის აშენება?! განა სამ მილიონ ხალხს ვერ შეუძლიან რაღაც ნახევარ მილიონის მოგროვება?!..

მაგრამ არა... ცხადია, ყველა ეს ვითომ და ჩვენი სიბეჩავე და უძლურობა ელანდება ჩვენს დაავადმყოფებულს, დაჩაგრულს, ბევრჯელ და ბევრში იმედ-გაცრუებულს გულს...

ჩვენ გვჯერა და გვრწამს, რომ არ მოვტყუვდებით და ქართველი ერი ადვილად და ჩქარა აასრულებს ამ თავის გადაწყვეტილებას! — ადვილად აუგებს ამ ჩვენს ეროვნულ ფაქტორს, ჩვენს სცენას, შესაფერ ტაძარს ..

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ქართველი, ვინც გინდა იყოს იგი: მდიდარი თუ ღარიბი, თავადი თუ გლეხი, ნასწავლი თუ უსწავლელი, ყველა გამოიღებს ამ დიდ მნიშვნელოვან საქმისათვის თავის წვლილს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ორ-სამწელში ისევ გაჩაღდება ის მნათობი, რომლის სხივებმა გაანათა მთელს საქართველოში და აამოქმედა ჩვენი ეროვნული გრძნობა! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩქარა ისევ დაიწყებს მოქმედებას ის ტაძარი, სადა ქართველები მოი-

კრიფებოდნენ ხოლმე „სამშობლოს“ ნახვით სამშობლოსთვის თავდადების სიდიადის და „დალატის“ შეგნებით სამშობლოსადმი ღალატის განკიცხვის შესასწავლად და შესათვისებლად.

ხოლო, როგორც ეროვნულ საზოგადო საქმეს, თეატრის აშენებისათვის ფულის შეგროვებასაც მოწყობა უნდა.

ამის გამო მივმართავთ ეროვნულ ჩვენს დიბა-ქალაქსა და დიდ სოფლებს თხოვნით, რაც შეიძლება მალე დაარსონ ეროვნულ პატარა ცენტრში კომიტეტი, რომელიც იკისრებს ფულების მოგროვებას.

ამ პატარა კომიტეტებში საკმარისია სამი სანდო პირის არჩევა. ამ სამმა არჩეულმა პირმა უნდა აცნობონ ჩვენს დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს (თბილისი. „სახალხო-ფურცლის“ რედაქცია. ი. გედევანიშვილს) რომ ისინი არიან არჩეულნი ხსენებულ ადგილას კომიტეტში.

როცა მთელი საქართველო მოიფინება ამგვარ კომიტეტებით, მაშინ თბილისის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც უკვე არსებობს, შეატყობინებს მათ, როგორ უნდა მოიქცენ ფულის შეგროვებაში და ამგვარად განხორციელდება ჩვენი სურვილი, რომ მთელს საქართველოში მოიკრიფოს თეატრის შენობისათვის თანხა.

ზოგიერთმა განიზრახა ფულების ნოსკრებლად განსაკუთრებულ მარკების გამოცემა. თუ მთავრობის მხრივ ამ საქმემ დაბრკოლება არ ნახა, მისი განხორციელება ძალიან შეუწყობს ხელს კომიტეტებს ფულების შეგროვებაში.

დასასრულ ვისურვებთ, რომ ჩვენი წინადადების დიდი მნიშვნელობა შეიგნონ კარგად უფროსებმა ჩვენი სამშობლოს—საქართველოს პატარა ცენტრებში და მხურვალედ მოჰკიდონ ხელი ადნიშნულ წინადადების განხორციელებას.

**გ. გრძელიშვილი.**

ვთხოვ ეროვნულ ქართულს გაზეთს და ჟურნალს გადაბეჭდოს ეს ჩვენი წერილი.

**გ. გ.**



# ალლა?!

— დედი! დედი! გემუდარები ჩამოიდო ის მოგარეულებული ჩარჩო და ტალახით შეგლესო, ამოჭკლიჭო სურათი და ტეტხლს მისცე, ეხვეწებოდა პირადმა მწოდი ვახტანგი დედას.

— რაა, შვილო ვახტანგ, რად იჯავრიანებ გულს, გენაცვალოს დედაშენი!—ეფერებოდა დარდის გასაქრეველად გულდამწვარი ნინო სავეარელს, უდროოდ დაგრდომილ ვაჟკაცს და თვალებზე ცრემლის წინამორბედი ბინდი ეფინებოდა.

— მოდი დედი, მომიახლოვდი და, თუ შესძლებს შენი გული სიხარი ვაჟკაცის თვალის გასწორებას, თუ შესძლებს ძველებურად მოაფერებას, როდესაც გულს ჩაგიკონებდი შენი ტორიანი ვაჟკაცი... —სთქვა და დარდიანად თავი ჩაიქნია. გულჩუეულს გრძნობიერ თვალთაგან უმანკო ცრემლები წასქდა. საბრალო ნინო გარეტიანებული შესცქეროდა მშფოთვარე შვილს და ნელ-ნელა ირინდებოდა.

— დედი!, გულმწარედ მიმართა სულარასავით გაცრეცილ ნინოს:

მოთხარი გულახდილად: შენით შობილს, შენგე ვერ მომანიჭებ მეუდრო განსასვენებელს? მაგრამ...არა...არა ..—დაუფონებლად შეინანა წარმოთქმული სიტეეები და თვალები მოგარეულებულ ჩარჩოში ჩასმულმა კადიდებულმა სურათმა მიიზიდა.

პირშებრუნებული ნინოც დაოსებული ეურადღებით იმ ძვირფას, მაგრამ აუტანელს სურათს შესცქეროდა.

სდუმდნენ ბედით კრულნი...

— გამურე, გამურე, დედი, მიეც ტეტხლს! — წამოიეეგირა შეშფოთებით ვახტანგმა და, საბრალო ნინოც, თითქოს ბრძანებას ელოდა, კიეეით მიეურინდა კედელთან. ჩამოგლიჯა ჩარჩო და მწარედ აქვითინდა. გულის მომწყლეველად აქვითინებულ დედის ხმაზე ვახტანგი გონს მოვიდა, და ტკბილად მიმართა:

— აბა, დახედე, დედი, სურათს და შემხედე შენ: მანდ ორი მკლავი მაქვს, გესმის დედი, ორი—ერთი შენს ნაზ წელზე და მეორეც ჩემს ტოლზე, დღეს რასკიბად კავარდნილზე, სათუთად შემოვლებული .. ახლა?! ნადვლით სავსემ, თავგაკიდულმა აიჩეხა მკლავები მოკვეთილი მხრები: არც ერთი... არც ერთი.

**გ. დათიაშვილი**

# ძმანი ყაზბეგნი

**ომში და უბედურად დალუპულნი, გიორგი ყაზბეგის შვილნი**

**ნიკოლოზი.** **ალექსანდრე.** **კონსტანტინე**

თანამედროვე ომმა ჩვენის ქვეყნის ბევრი შვილი შეიწირა .. ხშირია ოჯახი, საიდანაც სამი-ოთხი ძმა და მამა-შვილნი დაღუპულან ბრძოლის ველზე. ერთი ასეთი ოჯახია ჩვენი ცნობილი გიორგი ყაზბეგისა, რომლის სამი შვილი ახლანდელ ომში დაიღუპა... 1) **ნიკოლოზ**—როტმისტრი, გიორგის პირველი შვილი, თათართა პოლკის უფროსის ადიუტანტი, კარპატებში მოკლული 1915 წ. 16 იან. გადმოასვენეს ყაზბეგში. 2) **ალექსანდრე**—გიორგის მეორე შვილი, პოდპოლკოვნიკი, უკვალოდ დაიკარგა ლოძთან ბრძოლის დროს, არ იციან ცოცხალია თუ მკვდარი. 2) **კონსტანტინე**—გიორგის მესამე შვილი, კაპიტანი, მსახურებდა სარკინისგზო ბატალიონში. ავტომობილის გადაბრუნების დროს დაიღუპა 1915 წ. 14 თიბათვეს პეტროგრადთან. მოქანდაკე იყო. გამოაქანდაკა რუს-იაპონიის ომში დაღუპულ გემის უფროსი რუდნევი.

---

# სამშობლოს გმირი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 31)

პატარა მიყრუებული სადგური ხალხით იყო გაჭედილი; არა-ჩვეულებრივი ალიაქოთი იდგა: ირეოდნენ, გარბოდნენ, ყვიროდნენ, იძახდნენ... ჩვენი მგზავრები სადგურის წინ იდგნენ და აღმოსავლეთისაკენ ექირათ თვალი: იქიდან უნდა მოსულიყო მატარებელი, რომლითაც მოდიოდა ივანე. და აჰა, გამოჩნდა კიდეც: კივილ-ოხვრით მოახლოვდა და დადგა. კესარია და ბავშვები მხედველობად გადაიქცნენ...

ხალხი გამოდიოდა ვაგონებიდან, ორი-სამი უხელო და უფეხოც გამოიყვანეს, მაგრამ ივანე კი არსად სჩანდა.

— იგი ხომ ჯვარიანია და საპატიოთ წამოიყვანდნენ მეორე კლასითო,— იფიქრა კესარიამ და წავიდა წინა ვაგონებისაკენ.

ბენიას პირველად ენახა მატარებელი და ძალიან გაკვირვებით ათვალიერებდა. ყველაფერს ადევნებდა თვალს და არაფერი ეპარებოდა,—ისიც კი დაინახა, სულ ბოლო ვაგონიდან როგორ გადმოაგდეს რაღაც ყუთი, რომელშიაც ადამიანის მსგავსი რაღაც ჩასდეს და ეს ყუთი თავის-თავად როგორ დაიძრა.

კესარია მეორე კლასის ვაგონებთან იდგა; იქვე იდგნენ სანდრო და ბენიაც და გამოსავალს მისცქეროდნენ...

უცებ ბავშვების სათამაშო ურმის ხმა მოისმა უკანიდან.

მოიხედა ბენიამ.

ის ყუთი დაინახა. ყუთში იჯდა კაცი. გულზე ჯვარი ეკიდა. მოიხედა კაცმაც...

— ნენა, ნენა, აია ბაბაი?!! საზარელი ხმით იკივლა ბენიამ და მივარდა დედას.

— სადა, სადა, შვილო?



**ფრიდრიხ ენგელისი** (1820—1895)
საერთაშორისო პროლეტარიატის ერთი მოციქულთაგან, კომუნისტური მანიფესტის ავტორთაგანი და მრავალი შრომის დამწერი. გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო.

— აგერ უკან...

მოიხედა კესარიამ და იქვე დაეცა.

— ვაიმე, ბაბავ! — იკივლეს ბავშვებმაც... ახლოს ვერ გაბედეს მისვლა: შეეშინდათ განახევრებულ მამის.

. . . . . .

სოფელს უახლოვდებოდნენ. სანდრო თოკით მიათრევდა ყუთს, ბენიაც უკანიდან ეხმარებოდა. ივანეს ფეხები და მარჯვენა ხელი ძირში ჰქონდა მოჭრილი.

უკან, ცოტა მოშორებით, ტირილ-მოთქმით მიჰყვებოდა პირდაკაწრული კესარია

— ნეტაი სიარული მაინც შეეძლოსო, — სტიროდა ის.

— ნუ გეშინია, ნენა, სულ მე ვათრევ ბაბას, — ანუგეშებდა ბენია.

— ქრისტიანებო, მომკალით, — იცხონეთ სული, — ხრმში გადამაგდეთ, ძაღლებს შეაჭამეთ ჩემი ხორცი, — ამბობდა ივანე.

როცა დაინახა თავის ჯაფით და ვაი-ვაგლახით აგებული სახლ-კარი, თავზე მარცხენა ხელი შემოირტყა და ამოიოხრა.

— ნეტაი ცოცხალი არ მომეწია შინ.

— ბაბი მოვიდა, ბაბ ი! — სიხარულით წამოიძახა თამროამ და გამოიქცა შესახვედრად...

გაშეშებულს თამროს ამ ჰფარე ოდა სამი წლის უპერანგო ვანო, რომელსაც პირი, ხელები, გული და გადმოშვერილი მუცელი შავი ბალით გაეთუთხნა. ძლიერ მოეწონა პატ რა კაკოს ურემი.

— სანდლო, მეც ცამაზინესით, — სძლია მორცხვობას და შეეხვეწა ძმას.

*
* *

ივანე რაღაც შიშის საგნად შეიქნა სოფელში.

— სუ, თვარა ივანიკა რიკვატა მოვა და წაიყვანსო, — აშინებდნენ დედები მტირალა ბავშვებს.

დიდებიც თვალს არიდებდნენ იმას, შორიდან უვლიდნენ, — ყველანი რაღაც გაუგებარს შიშს ჰგრძნობდნენ, როცა დაინახავდნენ; თუ სალამს მისცემდა ვინმე, თორემ ლაპარაკს ყველა გაურბოდა. ასე რომ დიდი უბედურობის სიმბოლოდ შეიქმნა ივანე გაღატაკებულს და დამშეულს სოფელში.

მთელი დღე დილიდან საღამომდი დაგორაობდა ივანე ეზოში; — ის კარგად გამოვარჯიშებულიყო მოძრაობის ახალ პირობებში და იოლად აგორებდა ხელით თავის ყუთს. ხან „ჰაიოს“ გაიძახოდა, რომ ქორს წიწილა არ წაეღო, ხან მსუნაგ ძაღლს უჯავრდებოდა, როცა იგი სახლში შესვლას აპირებდა, ძაღლი ივანეს ყურადღებასაც არ აქცევდა. დედა და შვილები ყანაში მუშაობდნენ, და მარტო კაკო რჩებოდა სახლში მამასთან.

— ბაბა, სულ სენ რომ ზდანხალ ულემსი, მე აღალ მინდა?

ხშირად ეკითხებოდა ის მამას.

— ღმერთმა დაგიფაროს, შვილო, ამის-

თანა ურემში ჯდომისაგან,—უპასუხებდა ხოლმე მამა.

— კი მინდა, ბაბა, კი-ჩემი ბაბაი ეე!—ტირილით ეუბნებოდა და ეკიდებოდა ზურგზე.

— წადი, წადი, შვილო, შენს ხბოს ბალახი მიეცი,—იშორებდა კაკოს...

გულგატეხილი კესარია ვაჟკაცურად მუშაობდა ყანაში. იმას მარტო ერთი იმედი დარჩენოდა: შვილები გაიზრდებიან და ოჯახს ეპატრონებიანო, სანდრო და ბენია ხედავდნენ დედის უსაზღვრო ტანჯვას და ცდილობდნენ მამის შესახებ ლაპარაკი არ დაწყებულიყო, მამას სრულებითაც არ ახსენებდნენ ხოლმე ბენია კი დაუმატებდა:

— მეიცაი, გევიზარდო აგერ... დედას ვუტირებ, ვინც ბაბას ხელი და ფეხები მოსჭრა.

— დედას არა მთხლეს ულირებ ერთი, —შემოუტიტინებდა და გააჯავრებდა თამრო, რომელიც აქვე ბალახს ჰკრეფდა ძროხისთვის.

— გააჩერე მაგ ენა თვარა!—ემუქრებოდა ბენია.

სოფლელებს უკვირდათ კესარიას ვაჟკაცური მუყაითი მუშაობა და ყველანი ამას აქებდენ:—რაც უბედურება და გასაჭირი შეხვდეს, მაგისთანაი ქალი ოჯახს მაინც წინ წაიყვანსო,—ამბობდნენ მოხუცი მამაკაცები, ხშირად გამოუვლიდნენ ხოლმე კესარიას ყანაში და ასწავლიდნენ, როგორ უნდა გაესართებინა სიმინდი,, დაეთესა და დაეფოცხა ლომი.

ყმაწვილები-კი ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ და ამბობდნენ:—ძალიანს ღუის კესარიე, მაგრამ რას იზამს: საწყალი ივანიკაი არაფრად გამოადგება ახლა იმას.

თვითონ ვერ გაებედათ და ბრმა ეგნატე ბულარას ჰპირდებოდნენ,—კაპიკს გაჩუქებთო—და ხმა მაღლა ამღერებდნენ, რომ კესარიას გაეგონა:

კესარიავ შაქრის ფერო,
შავი რომ ხარ, რა გიშველო,
ავთიაქის უმარილი
უოველდღე სად გიშოვნო.

ხან კიდევ ასეთ შემოსძახებდა ეგნატე:

ოდელია კარ-აკოშკა—ვაი-ვა,
კესარიამ არ მაკოცა—ვაი-ვა.

**გაბრიელ გოგუაძე**

(დასასრული იქნება)

# ღაღადის!!

ეჰა, სიონო! წმინდავ მარადის!
ჩემთა ფიქრთ ლოცვა ცრემლად რად დნება?!
ოდეს შენდამი ვავლენ ღაღადისს—
სული რისათვის მიქვ თინდება?!
წმიდათა-წმიდავ! როს მგლოვიარე
ოცნება ჩემი შენს წინა სდგება—
სევდა, ნაღველი შავი და მწარე,
მარქვი რისათვის მიორკეცდება?!
იქნებ იმისთვის, რომ სევდის მახეს—
ხშირადა ვფურცლავ წარსულის რვეულს
და მუნ დავეძებ შენს დიადს სახეს,
აწ შეგინებულს, აწ ჩამორღვეულს?!
იქნებ იმისთვის, რომ დაჰგმოს ერმა
შენი სიწმინდე, შენი სახელი...
რომ გარეწარმა,—რეგვენმა მტერმა
შენს გულს შეახო ხელი მსახვრელი?!
— არა სიონო! ჩემი ცრემლები
ურვა და სევდა—როდია მხოლოდ...
მე მიტომ ვტირი და ცრემლად ვდნები,
რომ მკურს შევიქმნა ტანჯვის სიმბოლოდ...
ჩემი ცრემლები—არის გოდება,
და ჩემი ტანჯვა—ლოცვაა სრული...
ლოცვაა—შენი დახსნის ოცნება—
შენსავ ნანგრევზე აყვავებული..
აწ ეს მშთენია შავბედის მწყევლის,
სულის სამწუხროდ მოვმართო ქნარი
და, აწ დანგრეულს, შენს საკურთხეველს,
შევწირო ლოცვა—ცრემლად დამდნარი!.

**ილ. მოსაშვილი**

# ბედნიერი დღე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 31)

**სალ.** (სერიოზულად) დიაღ, მართლა თქვენ ორის თავზე ხომ არ არის მთელი ქვეყანა?

**ილარ.** (გაიგლ-გამოიგლის) კიდევაც ეგ არის სამწუხარო, რომ ჩვენი ინტელიგენცია და საზოგადო მოღვაწენი თითზე ჩამოსათვლელი არიან. აბა ერთი მითხარი ვინა გვყავს? ეხლავე ჩამოგითვლი. (ითვლის თითებზე) სანდრო, გიორგი, კოტე, პეტრე, სვიმონი, დიმიტრი, კოლა, პავლე ტრაბახოვი, შენა და

მე. თუ სალომესაც მივუმატებთ—თერთმეტი. (ყველანი იცინიან)

**სალ.** (თავს აქნევს) ნეტავი შემეძლოს რამე, ვინ დაზოგავს თავს.

**აპოლ.** (ღიმილით) რატომ არა, დედა-ჩემო, შენ მე ძალიან ხელს მიწყობ და ესეც დიდი საქმეა.

**ილარ.** განა შეგვიძლია ამ ათ კაცში რომელიმე ჩვენგანმა დასვენებაზე იფიქროს? მერე ამ ათში ხეირიანი ორი სამი მოინახება, დანარჩენები ღმერთმა შეინახოს.

**აპოლ.** (ფიქრის შემდეგ) მართალია, მართალი. სანდრო კლუბში ზის დღე და ღამ, გიორგი ღვინოში იღრჩობა, კოტე კორესპონდენციებმა გაიტაცა, პეტრე და სოფრომი ბანკის საქმეებს გადაჰყვნენ, დიმიტრი დილიდან საღამომდე ალაპარაკე, სხვა არა უნდა რა, კოლა თავის ჭაღარა წვერის ღებვას ვეღარ აუდის, პავლე ქალებს გადაჰყვა. ვიღა დაგვრჩა. არავინ. ასეთ დროს დასვენებაზე ფიქრიც კი მეტია.

**ილარ.** (დადის) დიაღ, სწორედ აგრეა, ჩემო აპოლონ, აუარებელი საქმე გვაქვს და კაცი კი არავინ არის რომ გააკეთოს. აი, მაგალითად, ეხლა მე და შენ უნდა ავდგეთ, ვიაროთ კარ და კარ და ფულები შევუგროვოთ ჩვენ საყვარელ ახალგაზრდა პოეტს მიხას.

**აპოლ.** (გაოცებით) მიხას რა მოუვიდა?

**ილარ.** აგრე იცის გვიან გამოსვლამ. მთელი ქვეყანა დღეს მიხაზე ლაპარაკობს და შენ არც კი გაგიგია რა მოუვიდა. უკანასკნელ დღეშია .. ექიმებს გადაუწყვეტიათ ერთი თვის მეტს ვეღარ იცოცხლებსო.

**სალ.** (მწუხარებით) უი! საბრალო.

**აპოლ.** (სერიოზულად) ეს კი ვიცოდი, რომ მიხას ჭლექი გაუჩნდა და ავადმყოფობდა, მაგრამ თუ უკანასკნელ დღეში იყო— ეს კი არ ვიცოდი. რა უნდა ვქნათ ახლა?

**ილარ,** ის უნდა ვქნათ, რომ გაზეთებით ვაცნობოთ საზოგადოებას, ვისაც რა შეუძლიან შეეწიოს.

**სალ.** დიდი კაცი არის ვინმე, შვილო?

**აპოლ.** არა, პოეტია.

**სალ.** მერე საიდან გაუჩნდა ჭლექი?

**ილარ.** (სერიოზულად) იქიდან, ჩემო სალომე, რომ პოეტები და საზოგადოდ ჩვენი მწერლები ნაკლებად სჭამენ, სცივათ, ცუდ ბინაზე სცხოვრობენ და ბოლოს მათ აუცილებლად ჭლექი უჩნდებათ.

**სალ.** მერე, შვილო, განა მანამდე ვერ დაეხმარებით, სანამ ჭლექი გაუჩნდებოდეს?

**ილარ.** თქვენ არ იცით, სალომე. მწერალი ის არის, ვინც ზვარაკად შეეწირება საზოგადოებას. ქართველმა მწერალმა ყველაფერი უნდა აიტანოს, აი, ამას ჰქვია მწერლობა.

**სალ.** (მწუხარედ) ეხლა რაღათ უნდა თქვენი დახმარება?

**ილარ.** (ღიმილით) როგორ თუ რად უნდა? ჩვენ ვიცით, რომ ის ერთი თვის შემდეგ მოკვდება. ამ ერთ თვეს მაინც უნდა შევატყობინოთ ცხოვრება. განა ისე უნდა მოკვდეს ქართველი მწერალი, რომ ერთხელ მაინც არ გაძღეს?

**სალ.** (თავს აქნევს) უიმე! ღმერთმა ყოველი ქრისტიანი დაიფაროს მწერლობისგან.

**ილარ.** ეს ერთი, ჩემო აპოლონ, ეხლა კიდევ მეორე ხომ იცი. ჩვენი ქართველი დამსახურებული მსახიობი პლატონ ღიტინოვი დაბერდა, კბილები ჩასცვივდა შიმშილისაგან ფერდი-ფერდზე აქვს მიკრული, თვალები აღარ უჭრის, ორი ჯოხით ძლივს დადის. დღეს არა, ხვალ გამოგვეცლება ხელიდან... აი, ჩემო აპოლონ, ამასაც იუბილეის გადახდა უნდა. იქნებ ცოტაოდენი ფულები შეუგროვდეს და ერთი რიგიანად გაძღეს სიკვდილამდე. ამ საქმესაც დატრიალება უნდა.

**აპოლ.** (სერიოზულად) ეგ ორი საქმე, მართლაც რომ ძლიერ საშური არის. ჯერ, რასაკვირველია, გაზეთში წერილი უნდა დაიწეროს.

**ილარ.** (გაჩერდება აპოლონის წინ და ღიმილით) მართლა სულ დამავიწყდა. დღევანდელი გაზეთი ხომ წაიკითხე, პასუხის გაცემას არ აპირებ?

**აპოლ** რის პასუხი? რას ამბობ? გაზეთი არც კი გამხსნებია დღეს. (გადის კარებისკენ და ეძახის ბიჭს) სერგო! სერგო! (შემოდის სერგო)

## VI

იგინივე და **სერგო**

**სერგო** რას გვიბრძანებთ, ბატონო!

**აპოლ.** (გაჯავრებით) ბიჭო! დღევანდელი გაზეთი სად არის?

**სერ** (ღიმილით) რა მოგახსენოთ.

**აპოლ.** (ბრაზდება) როგორ თუ რა მომახსენო! გაზეთი სად არის, გაზეთი?

**სერ.** არ ვიცი, ბატონო, მგონია, დღეს არ მოუტანია ყოველთვის აკოშკაში აგდებდა, როცა მოიტანდა დღეს ვერაფერი ვნახე.

**სალ.** (გაჯავრებული) ბიჭო, შენ რად იცი აგრე ლაპარაკი?

**სერ** (ღიმილით) მა, როგორ უნდა ვილაპარაკო, ქალბატონო?

**აპოლ.** (გაბრაზებული) ისე უნდა ილაპარაკო, რომ ეხლავე გაზეთი მოიტანო.

**სერ.** თუ კი არ არის, საიდან უნდა მოვიტანო, თქვენი ჭირიმე.

**სალ.** (გაანჩხლებული წამოჯდება) როგორ თუ არ არის?

**სერ.** ისე არ არის ქალბატონო, რომ თუ კი გაზეტჩიკი არ მოიტანს, მე საიდან უნდა გავაჩინო?

**აპოლ.** (გაბრაზებული) არ შეიძლება, რომ არ მოეტანოს. წადი ეხლავე მოიტანე.

**სერ.** (მიდის) თუ კი არ არის რა მოვიტანო? (გადის)

**აპოლ.** (დადის აღელვებული) ახ, ღმერთო ჩემო, რომელ ერთს გაუძლოს კაცმა, ე, ბიჭებიც რომ გადაგვერიენ? (ილარიონს) არ იტყვი, კაცო, რა სწერია გაზეთში?

**ილარ.** ვიღაც კიკოლიკა მეტის-მეტად უდიერად იხსენიებს გუშინდელ შენს სიტყვას და იდეის ღალატს გწამებს.

**აპოლ.** (მეტად გაბრაზებული დადის) მე?! იდეის ღალატს?!. ვიღაც კიკოლიკა?!.

**სალ.** (გააჩერებს და ხელს მოჰკიდებს) ვინ კიკოლიკა? რა იყო, შვილო?

**აპოლ.** (გაჯავრებით გაეშვებინება) თავი დამანებე, დედა ჩემო, რა შენი საქმეა?

**სალ,** (წყენით) თუ არ არის, შვილო, რას ჯავრობ მოგშორდები. (გადის თავის ოთახში)

**აპოლ.** (დადის და დელავს) ახ, ღმერთო ჩემო! ახ, ღმერთო ჩემო! მოდი და იმუშავე ასეთ ხალხში. (მიდის კარებისკენ. უყვირის) ბიჭო სერგო! გაზეთი ჩქარა! ბიჭო! ბიჭო! (მოისმის ხმა: „მოვდივარ, მოვდივარ“.) ჯერ ერთი წავიკითხო და მე ვიცი მისი პასუხი.

**ილარ.** (ამშვიდებს) ასეთ დროს აღელვება როდი ვარგა, აპოლონ.

**აპოლ.** (დადის და დელავს) ავღელდები და მეტსაც ვიზამ (მიდის კარებთან და უყვირის ბიჭს) სერგო? სერგო! სად ოხრობაში ხარ, აღარ შემოხვედი? (შემოდის სერგო)

## VII

**აპოლონ, ილარიონ** და **სერგო**

**სერ.** (შემოაქვს გაზეთი და აძლევს) უკაცრავად, ბატონო, ე, ოხერი გაზეთი ტახტქვეშ ჩავარდნილიყო. (დადგება შორი-ახლოს)

**აპოლ.** (გაბრაზებული გამოგლეჯს გაზეთს ხელიდან) ოხერო! (დადის მეტად აღელვებული და ჭკითხულობს გაზეთს, ხელებს იქნევს, თან და თან მეტი აღელვება ეტყობა) ჰჰმ! ჰჰმ! (თავს აქანებს და ხელს იქნევს) მაშ ასე! ძალიან კარგი! (ხმა მაღლა ლაპარაკობს) კარგი, მოგცემ პასუხს! მე ვიცი შენი პასუხი! (ილარიონ ზის და იღიმება. სერგო კარებთან დგას და გაოცებული უყურებს, არ იცის რა ამბავია, აპოლონ გაზეთის კითხვით მივა კარებამდე და სერგოს დაეტაკება. საშინელი ბრაზი მოსდის ოხერო! ტიელო! აქ რას გაჩერებულხარ! გასწი! გამეცა! (სერგო გადის. შემოდის სალომე)

## VIII

**ილარიონ. აპოლონ** და **სალომე**

**სალ.** (შემოდის, ხმაურობაზე. დაინახავს, რომ აპოლონი ფრიად აღელვებული წინ და უკან დადის და გაზეთს ჭკითხულობს, უკან დასდევს და ამშვიდებს) რა იყო, შვილო, დამშვიდდი! (აპოლონს არ ესმის და დადის ხელების შლით) უი ჩემ თვალებს! შვილო, რა შეგემთხვა? მითხარი, შენ გენაცვალე! (ხელს მოჰკიდებს)

**აპოლ.** (არც კი შეხედავს ისე გაეშვებინება) დამაცა! მომშორდით! მომშორდით! (დადის და კითხულობს)

**სალ.** (ტირილის ხმით ილარიონს) რა ამ-

ბავია, ილარიონ, ჩემს თავს? თქვან მაინც მითხარით.

**ილ არ.** (დამცინით) არაფერი, ვიღაცას აპოლონი გაზეთში გაულანძღავს.

**სალ-** (წავა აპოლონისკენ) უი, ჩემ თვალებს! ვინ გაგლანძლა, შვილო, იმ დასამიწებელმა?

**აპოლ.** (უცბად მოუბრუნდება და სიცილი წასკდება) რად იცი ხოლმე, დედა ჩემო, რომ ამეკვიატები და არ მასვენებ? აჰა! აბა გაიგე, რა ამბავია! (მიაჩეჩებს ხელში გაზეთს) წაიკითხე და მოისმინე ჩემი ლანძღვა, (გაჩერდება და უყურებს)

**სალ.** (დარცხვენილი) აბა, მე რა უნდა გავიგო, შვილო? (მისცემს გაზეთს) ვინ გაგლანძლა, ვინ? როგორ გაკადრე!? შენზე უკეთესი ვინ არის ქვეყანაზე?

**აპოლ.** (იცინის) დიაღ, რასაკვირველია, მე რომ შენი შვილი ვარ, უკეთესი აღარავინ არის ქვეყანაზე. (დადის) მე ვიცი რა პასუხს გავცემ. (მუშტს იქნევს)

**ილარ.** (წამოდგება და საათს დახედავს) პასუხის გაცემას მოასწრობ, აპოლონ, ნუ ღელავ. შენ ასეთი წერილები ოდნავ ფასს არ დაგიკარგავს საზოგადოების თვალში. დრო არის წავიდეთ და მიხას შესახებ რამე ვიფიქროთ. (ქუდს აიღებს)

**აპოლ.** წავიდეთ (თავისთვის) მე იმას შესაფერ პასუხს გავცემ! (მიდის კარებისკენ)

**ილ არ** (შეხედავს და სიცილი წასკდება) კაცო, ასე უფინჯაკოთ მოდიხარ?

**აპოლ** უჰ! დასწყევლოს ღმერთმა (მის ბრუნდება)

**სალ.** (გაოცებული) უი, დამიდგეს თვალები! ეგ რა მოგდის, შვილო? (აცმევს ფინჯაკს და ქუდს აძლევს) იმ დღეს ჯოხის მაგივრად შამფური წაიღო.

**აპოლ** ეჰ! თავი აღარ არის, არა დედა! (მიდიან)

**სალ.** შვილო, ჩქარა დაბრუნდი.

**აპოლ** ჩქარა დავბრუნდები.

**სალ.** (მივა კარებთან და ეძახის ბიჭს) ბიჭო! სერგო! (შემოდის სერგო)

**პ. ირეთელი**

(გაგრძელება იქნება)

გერმანიის საზღვარზე მძიმედ დაიჭრა 1914 წ. 13 აგვ. ქრილობა რუსებმა შეუხვიეს, მაგრამ უკან დახევის დროს გერმანელებმა ტყვედ წაიყვანეს. მშრომლებს დღემდე დაკარგული ეგონათ.

პოდპორუჩიკი
**თავ. გ. ა. ხერხეულიძე**

# ღამის მგოსანი

**(გალაქტიონ ტაბიძის ლექსები)**

(გაგრძელება. იხ „თ. და ც." № 29)

ცხოვრებით განაწამებ მგოსანს, რომლისთვისაც უცხოა მთელი სამყარო, სანუგეშებლად მხოლოდ ორი რამ დარჩენია: ესაა მგოსნის „სისხლის წვეთებით დაწერილი სიმღერა" და მეუდროდ ბურუსით მოცული ღამე. ღამე მგოსნის სტიქიას შეადგენს, მისი მწუხარე და ეული სული, ძლიერ ნათესაობას გრძნობს ღამესთან; ღამეში პიროვნება უოველთვის უშუამავლოდ უერთდება მთელ სამყაროს, ყოველ დღიური ცხოვრება სიმშვიდეს მისცემია... პიროვნება თავის **მე**-ს დამოუკიდებლად გრძნობს, იგი განშორებია თითქოს ამ მსოფლიოს და ვარსკვლავებით მოჭედილ ცის საიდუმლოებაში აწნავს თვის ოცნებას; ღამე მით უფრო იტაცებს მგოსანს, რომ იგი მასავით მშვიდი და წყნარია, გულ-წრფელი და გულ-ღია, თუმც ღრმა და საიდუმლო. მგოსანი გამოდის გარედ; მის პიროვნებას აღარ ხუთავს ეს წარმავალი ემპირიულობა და იგიც თავისუფლად შლის თვის სევდიან ფანტაზიას და „მტრედის ფერ ლურჯ" ცაზე კითხულობს „საიდუმლო შუქით შესუდრულ ზღაპარს" მსოფლიოსას. და იგიც მხოლოდ ღამეს უმჟღავნებს „გულის ბნელ სიღრმეში" მოთავსებულ ფიქრებს:

„მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს
სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ."

მგოსნის ასეთი დამეგობრება დამესთან, ძალიერ არის ჩაქსოვილი მის ფსიხიკაში. ადამიანის უოველ-დღიური ცხოვრება გულ-შემსარეკ მონობის და უგულწრფელობის ადგილ ატარებს, იგი ეოველთვის ნიღაბის ქვეშ გამოიუურება და თვის ნამდვილ შინაგან სახეს არ გიჩვენებს. ცხოვრებამ ადამიანს ჩამოაცალა გულ-უბრუველობის იერი და ადეს იგი მხოლოდ დახელოვნებულ არტისტს მოგაგონებს, რომელიც გვეღურის მაცდურობით თამაშობს ცხოვრების სცენაზე, და რომლის კარეგანი ,ტევა მაღავს მის შინაგან ნამდვილ მე-ს. და გულ-წრფელი და თავისუფლების მოტრფიალე მგოსანიც, რომელიც ცხოვრების ჭუჭესა და ბიწიერებას დასტირის, ისევ გულ-და და მშვიდ დამეს უხმობს. იგი მისთვის უფრო ახლოა და გასაგები, ვინემ ნიღაბ ჩამოფარებული ადამიანი:

„შენ იცი მხოლოდ, თუ რასაც ვგრძნობ

მარტოობაში შუაღამისას,

რომ ღამ ს სახეს უფრო ვწვდებოდი,

უფრო ვწვდებოდი, ვინემ კაცისას.“

მეორე ნუგეში მგოსნისა ეს მისივე „სისხლის წვეთებით დაწერილი სიმღერაა“.

საზოგადოთ მგოსანი, უმირველეს ეოველისა, თვის თავისთვის ჭქმნის, თვის შემოქმედებას შემდეგ, იგი ისე უტქერის, როგორც რაიმე ობიექტიურს, რომლის ხიდვა მასშიეე სიამოვნებას აძლევს და ეჭვს გარეშეა, მგოსნის, რომელიც ცხოვრების მიერ გარიეულია, ვით უდანაზ მწირი, რომლის გულს სერავს ტრაგიული ბოლო ადამიანისა, ერთ მანუგეშებლად და სიცოცხლის აზრის განსამტკიცებლად, მისივე ცრემლით სავსე ლექსი იქნება. მგოსანი ცხოვრების მიზანს მხოლოდ ხელოვნებაში ხედავს, მას სძაგს ეს ემპირიული და ტლანქი სინამდვილე, და სცოცხლობს მხოლოდ თვის მიერ შექმნილ ცხოვრებით, რომელიც უფრო ნაზი და მგრძნობიარეა ვიდრე ის, რაზედაც მას ფეხი უდგია. და ეს ასეც არის, ეოველივე ხელოვნება ცხოვრების ასლი კი არ არის, არამედ ახალი, ცხოვრებაზე უფრო მეტი, ხელოვნის გრძნეულ ქერაში გამომწყარი. და ეოფინის მცნებით „მობეზრებულ მგოსანს უხმობს ფარული ძალა ხელოვნებისა და მისი, გესლით სავსე ქნარიც, მწუხარე სიმღერას გამოსცემს. სიმღერა იგი თან წაჰყვება მგოსანს, უდაბურ ატეგრებულ ტეეში და გადახრეკულ უდაბნოშიც, ცხოვრების დღიურ ყრიამულში და ღამის სიღუმლ მეუდრეობაშიც:

„ღღეს ტყეა ჩემი თავ-შესაფარი;

ხვალ უდაბნოელ დარაჯის კერა

ზეგ გაშლილ ცის ქვეშ გავათევ ღამეს

და მუდამ მიიმოს ჩემი სიმღერა“

**მიხ. აბრამიშვილი**

(შემდეგი იქნება)

# ცნობა

## გიორგი მ. ხერხეულიძის (ფოცხოველის) ნაწერების გამოცემის შესახებ

როგორც ეურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მე 27 ნომერში აღმოვიეითხე, გ. მ. ხერხეულიძის (ფოცხოველის) ნაწერების გამოცემა განუზრახავს მისს ქვრივს, რაც მეტად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს. ეს მით უმეტეს, რომ ჩვენში, საუბედუროთ, ზოგიერთი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა ნაწერ ნაშრომს თუ მათ სიცოცხლეში გამოცემა არ ეღირსა, მერე მათი სიკვდილის შემდეგ ეოველივე დავიწყებას მიეცემა და რამდენიმე წლის შემდეგ ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ვეღარ ვპოულობთ იმ ეურნალ-გაზეთებს, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ, ან კიდევ ხელთნაწერები იკარგება და ამგვარად ჩვენი საალიტერატურო საკარო შეუმჩნეველად ცარიელდება და დარიბდება

ვის არ ადმოუკითხავს გაზეთების ფურცლებზე ამა და ამ მწერლის ესა და ეს ნაწარმოები დაიკარგა და თუ ვისმეს მოეპოვება გვაცნობოს.

სწორედ ამასვე ვკირხულობ ამჟამ ეურნალ „ეა — გიორგი ხერხეულ ძის (ფოცხოველის) უკანასკნელი პიესა დაიკარგა. მწერლის ქვრივი თხოულობს, თუ პიესა ვისმეს მოეპოვება, რედაქციას წარუდგინოს...

ამის შესახებ უნდა ვაცნობო მწერლის ქვრივს კნ ქ. დ. ხერხეულიძისას და აგრედვე რედაქციასაც, რომ როდესაც მე და გიორგი წარსული წლის 26 ნოემბერს ბრძოლის ველზე თხრილებში ერთად ვისხედით და თავზეოფ-

ზარბაზნების ტყვია ყუმბარები გვასკდებოდა, გიორგი ხელჩაკიდებული ჩვენი საყვარელი სამშობლოს ამბებს მიამბობდა, მე მეტად დაინტერესებული უსმენდი, რადგანაც რამოდენიმე თვე ქართული გაზეთი არ წამეკითხა და გიორგიკი სულ სამი ოთხი დღის მოსული იყო სამშობლოდან და როდესაც გიორგი, სხვათა შორის, თეატრის დაწვის შესახებ მეაბაასებოდა,—მაშინ მოაგონდა და მითხრა: „მართლა, მე პირადად თეატრის დაწვამ მეტად მაზარალა, ჩემი უკანასკნელი პიესა დრამატიულ საზოგადოებას გადავეცი გასაშინჯად და რეპერტუარში შესატანად, მაგრამ თეატრის დაწვის დროს დაიწვა. რამდენიმე წლის ნაშრომი იყო, და საუბედუროდ, ხელთნაწერი არ დამრჩენია, **თუ ღმერთმა ინება და ცოცხალი** დავრჩი, ხელ-ახლავ მომინდება წერაა-ო.

უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგიმ ალბად დანამდვილებით გაიგო ვისმესგან, რომ მისი პიესა თეატრმა იმსხვერპლა; დარწმუნებული ვარ, რომ რომელიმე წევრს დრამატიული საზოგადოებისას ეცოდინება ვისთვის ჰქონდა გადაცემული გიორგის თავისი პიესა და მართლა დაიწვა თუ არა —სასურველია ვიცოდეთ.

**ავ. აბესაძე**

# ქართული სახიობა

**ქ. ბათომში** ბ-ნმა ჯაყელმა, როგორც მოხსენებული გვქონდა ( თ. და ც. № 29), თეატრს მოწყურებული საზოგადოებას გაუხსნა სეზონი—გასტროლებისა. მისი თანახლებით 25 ივლისს გვეწვია ქართველ მსახიობთა „ამხანაგობა“ (მათ შორის ბათომილების ნაცნობი „მოგზაური“ დასის ზოგიერთი მსახიობნიც). ერთი მეორეზე დასდგეს – სამი წარმოდგენა (შაბათს, კვირას, ორშაბათს). პირველად – ანდრეევის ცნობილი „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. აღსანიშნავი არიან ყალაბეგიშვილი (ონუფრი), ღოღობერიძე (ევდოკია ანტონოვნა), არაბიძე (ფონ-რანკენ) და ბ-ნი ბარველი – (მუხინ) ბათომის სცენაზე ხშირად გვინახავს—სამაგალითო აღმსრულებლად, თავის როლებისა, რაც—ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია მივაწეროთ... ცალ-ცალკე ეპიზოდებში ბ. ბ. ველოვანს და ურუშაძეს არა უჭირდათ-რა.—ქ-ნ მდივანისაგან (ოლოლ) მეტს მოველოდით, როგორც სახელგანთქმულ მსახიობისაგან...

მეორე დღეს პირველად წარმოადგინეს შალიკაშვილის თარგ. „ზღვასთან“—სამ მოქ. დრამა, რომლის დასასრულს ბ. ურუშაძემ წაიკითხა გურული სცენები და ბევრი აცინა საზოგადოება... თვით პიესის შინაარსი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელებზე—მასში ორ ნაირი გრძნობა ებრძვის ერთი მეორეს—სარწმუნოებრივი და სიყვარულისა. მშრალ დოგმატებზე აშენებულ სარწმუნოებასა და ღმერთს, პასტორების მიერ წარმოდგენილს, როგორც—საფრთხობელას, ვერ ურიგდება—ახალგაზდა მეთევზის ცოლი—(მდივანი). იგი ღალატობს ფიცს—ხატის წინ,—ქმარს, შესტოპავს—სიყვარულის ტალღებში და გაჰყვება ბერლინიდან ჩამოსულს ახალგაზდა ინჟინერს (ბარველი). უკანასკნელი, რამდენადაც პირველ წარმოდგენაში სუსტობდა, იმდენად აქ ძლიერი იყო... დანარჩენებიც ხელს უწყობდენ საერთო ანსამბლს...

მესამე და უკანასკნელი წარმოდგენა იყო: „აშენდა საქართველო“—ესეც პირველად ბათომის სცენაზედ.. ამ ნაწარმოებზე ხშირად წაგვიკითხავს გაზეთებში რეცენზია: —ზოგი გადაჭარბებულად—სთვლიდა სტუდენტთა მოქმედობას, ზოგი-კი სწორედ დახასიათებულს და სხვ... ჩვენის აზრით-კი აქ გადაჭარბებული არა არის-რა და, როგორც სთქვა ერთმა მაყურებელმა,—ამ პიესის სამი მეოთხედი მართალია და ზედ გამოჭრილი ჩვენს სტუდენტებზე...

იმერელი გლეხის ტიპური კილოკავი, მიხვრა-მოხვრა დაგვიხატა არაბიძემ... კარგი იყო ურუშაძე ლაქიის როლში დანარჩენებიც—ყველა თავის ადგილას იყვნენ...

დასასრულ ვოდევილით „ოთხი არშიყი ერთად“—ბევრი აცინეს საზოგადოება... ხალხი პირველ წარმოდგენას შედარებით ცოტა დაესწრო, მეორეს მასზე—მეტი და მესამეზე-კა სულ გაჭედილი იყო მიუხედავათ—ომიანობის პირობებისა— (7 საათზე დაწყება და 10-ზე გათავება)... კარგს იზამენ ჩვენი სასიქადულო მსახიობნი, რომ კიდევ მალე ეწვიონ ჩვენს ბათომს რაკი ამ ხელად ასე გვასიამოვნეს!...

**ტრ. ინასარიძე**

**სოფ. ახალ-დაბაში** (ქართლი) პარასკევს, 31 ივლისს, ადგილობრივ სამინისტრო სასწავლებლის ფართო და ყოველ მხრივ შემკობილს ეზოში ამავე სასწავლებლის მასწ. დევიძის თაოსნობით გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით და დივერტისმენტით. ქართ. წარმოადგინეს „ვაიყობოს“, კომ. 1 მოქ. ი ზარდალიშვილის მიერ გადმოკეთებული და რუსულად—კომედია „ღალატი“. ორივე პიესამ კარგად ჩაიარა. მეტად მკძნობიარედ და მწყობრად შეასრულეს სოფლის პატარა გოგო-ბიჭებმა რამდენიმე ქართული სიმღერა. დივერსიმენტში მსახიობმა ი. ზარდალიშვილმა ჩვეულებრივის ტემპერამენტით და არტისტიულის აღმაფრენით წაიკითხა რამდენიმე ქართული ლექსი ბევრი აცინა საზოგადება „ყობოს“ როლში ბ. ზარდალიშვილმა. წარმოდგენას მრავალი ხალხი დაესწრო. მთელი შემოსავლის წმინდა

მოგება მოხმარდება სოფ. ახალ-დაბაში განძრახულ უფასო სამკითხველოს. ამ მიზნისათვის ერთ ადგილობრივ გლეხს ადგილიც-კი დაუთმია სამკითხველოს შენობის თვის 9 წლით.

ნიკო. გურული.

---

# წ ვ რ ი ლ ი  ა მ ბ ე ბ ი

**ვაჟა-ფშაველა** ქართველმა ერმა დიდის დიდებით დაკრძალა დიდუბის პანთეონში და ერის ღირსეულ შვილთა შორის ჩარიცხა. დაკრძალვას დაესწრენ წოდებათა, ქალაქთა, საზოგადოებათა და სხ. წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი აგარაკადაა გასული. კუბო ვარდ-ყვავილებით იყო შემკული, ასევე საუცხოოდ იყო მორთული სამგლოვიარო ეტლი მეყვავილე მ. „მაჟულა-შვილის— სოლეიდორ“-ის მიერ, რომელმაც ამის ფასად მიღებული 175 მ. მან. ვაჟასავე ფონდსა და წმ. ნინოს ლაზარეთს შესწირა). კუბოს აკოობდა ერთი საზოგადო გვირგვინი „ვაჟა-ფშაველას—ქართველ ერისგან“ და თუმცა წინადვე განცხადებული იყო, რომ გვირგვინები არ იქნებაო, იყო რამდენიმე კერძო გვირგვინიც (ქალაქის გაჟგეობის, წმ ნინოს ლაზარეთის მომვლელ ქალთა, ვ. ლორთქიფანიძისა, აღლაძისა და სხ..) „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციის მხრით იოსებ იმედაშვილმა ეკლესიაში კუბო შეამკო ვარ-ყვავილთა თავთავიან თაიგულით, შემდეგი ზედწარწერით: „უკვდავო ვაჟა! თუმცა „დღემ დაიხურე პირბადე, მაგრამ შენი სხივოსნობა მარადის შუქს მოჰფენს წამებულ სამშობლოს!..“ წესი აუგეს პიტირიმ ექ. არხოსმა, ანტონ და ლეონიდ ეპისკოპოსებმა, პიროს არქიმანდრიტმა და სხ. სიტყვები წარმოსთქვეს ეკლესიაში ლეონიდმა, კორ. კეკელიძემ, მღ. კავკასიძემ, გალავანში—წ. კ. ს. მხრით ლ. ბოცვაძემ, თუშ-ფშავ-ხევსურთა მხრით დ. ქადაგიძემ. მიცვალებული წაასვენეს ვერის ხიდით, მიხეილის პროს. მიცვალებულის წინ ორ მგოსანს კ. მაყაშვილს და ს. შანშიაშვილს მიჰქონდა დაფნის გვირგვინი, ილ. აღლაძის პატარა ქალი ყვავილებით შემკულ ვაზის ჯვრით მიუძღოდა წინ მიცვალებულს. მიუძღოდენ მგალობელთა რამდენიმე გუნდი, ქართველი ქალნი სამგლოვიარო მკერდსაკრავებით, რომელნიც მგოსნის ცხედარს გზას უფენდნენ ვარდ-ყვავილებით, ჰამჭრები და სხ. იუნკერთა სასწავლებლის ქვეშ შეეგება დიდუბის მოძღვარი მგალობლებითურთ. სამარესთან სიტყვები წარმოსთქვეს: მღ. მირიანაშვილმა, მღ. კელენჯერიძემ. გრ. ლაღიძემ—ქუთ. დრამ. საზ. მხრით, ვ. კოტეტიშვილმა—სტუდენტების მხრით, მუსულმანთა მხრით—ბ. სულთანოვმა. მუსულმან სტუდენტების მხრით სტუდ. პეპინოვმა, მშობლიურ ენა-ლიტერატურა სახელით—ვანო ბალიაშვილმა, ჰიათურის მუშათა მხრით—ა. იოსელიანმა და ან. ხიზანიშვილმა, ბაჩანა (მგოსნის ძმამ), ზესტაფონის წ. კ. ს. წარმომადგენელმა დავ. კელენჯერიძემ და სხ. ბოლოს ვაჟას შვილმა ლევანმა. ხალხში მრავლად ისყიდებოდა სტუდენტების მიერ გამოცემული ვაჟას ლექ ები სურათ-ბიოგრაფიით „ვაჟა-ფშაველას—ქართველ სტუდენტებისგან“. მგოსანი სამარემდე ფეხით მიაცილეს მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და სხვა და სხვა წარმომადგენლებმა.

**სად. ალიათი.** „ძალზე დაგვამწუხრა ჩვენი ძვირფასი განმაბრწყინებელის ვაჟა-ფშაველას მოულოდნელმა გარდაცვალებამ. მისი დიდებული სახელი კუბოს კარამდე გვექნება გულში ღრმად ჩაბეჭდილი და, ვ თ წმიდა ანდერძს, ჩვენს შვილებს გარდავცემთ.“ ვარდენ ყიფიანი, შარიკაძე, კაკაბაძე, ლორთქიფანიძე და ჩიტაძე.

**დერბენტი** „მწარედ დავსტირ ით ძვირფასი ვგოსნის ვაჟა-ფშაველას დაკარგვას. ალ. კვანტალიანი“

**ღ. სურამში** 30 ივლისს, მსახიობ ი. ზარდალიშვილის მიერ გასამართად განზრახული სახუმარო საღამო შარჟებით ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო სხვა დროისთვის გადაიდო.

**ს. ხაშმი.** (გარე-კახეთი) „ბედისაგან განაწამებ სამშობლოსთან ერთად ჩვენც, ს. ხაშმზე მცხოვრებნიც ვგლოვობთ უნიჭიერესის შვილის მგოსნის, ვაჟა-ფშაველას,—დაკარგვას. ორს აგვისტოს გადავიხადეთ პანაშვიდი იმის წმინდა და სამშობლოს მოყვარული სულის მოსახ ენებლ დ. **ი. ი. ბაძრაძე**“

**ახალგაზდა მომღერალი** გ. ი. ჩუბინაშვილი, რომელიც ამას წინად გერმანიის საზღვარზე დაიჭრა (ფეხი მოჰკვეთეს) უკვე განიკურნა და დღეს. 9 აგვისტოს, „ახალ კლუბში“ მართავს საღამოს. იგი ომში წასვლამდე ხშირად მონაწილეობდა ხოლმე კონცერტებსა და ორკესტრებში და უკვე ცნობილია, ვითარცა ნიჭიერი მომღერალი. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ, სხვ თა შორის: ძმა მისი ლეო, ქ-ნი ჟურავლიოვისა, მომღერალი დ. ლეკავა და ვიოლონჩელზე დამკვრელი ბენედიკკი და სხ.

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ ბალდადის სამკითხველოს** მთელი წლ თ გაუწერა თვისი ხარჯით გიორგი სიმ. დემეტრაძემ,

**ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საგზოდ** თავმჯდ. დ. დუმბაძის მოხსენების თანახმად, დაადგინა 8 ენკენისთვისთვის თბილისში გამართოს დიდი სეირნობა აპარელთა და დასავლეთ საქართველოში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**ხარფუხის კლუბში** შაბათს, 1 აგ. ბროჯის, დ. ლეკავას, მსახ. პ. ფრანგიშვილის და სხვ. მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. კონცერტმა საამო შთაბეჭდილება მოახდინა მრავლად დამსწრე საზოგადოებაზე. ძრიელ მოეწონათ პ. ფრანგიშვილი რომელიც იმღერა „ურმული“, და სხვა რომანსები,

**რეჟისორი მ. ძორელი** თბილისს ჩამოვიდა.

Дозволено Военной Цензурой

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედა შვილისა**

## ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

**ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება**

**შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ.**

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად იზდიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

---

**ეკალიდან**

**ვარსკვლავამდე**

## მიიღება 1915 წ. ნახევარი წლის ხელმოწერა

**ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

**ყოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშეა.**

**ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., 1თვ. 40 თითო ნომერი **10** კაპ.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს.

**მიიღება** განცხადებანი **ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** ორიგებით, ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

**რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა**



Типографія **„Сорапань“** სტამბა“ **სორაპანი“**

# Открыта полугодовая подписка

съ 1 Іюля по 3 Декабря 1915 года на ЖУРНАЛЪ **„ТЕАТРЪ и ИСКУССТВО“**

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой 4 р. 50 к. (За границу 7 руб.)

емѣсячныя приложенія „Библіотеки Театра и Искусства“ съ пьесами текущаго репертуара. Въ вышедшихъ книгахъ за первое полугодіе помѣщены: „Пигмаліонъ“ Бер. Шоу. „Пѣвецъ своей печали“ О. Дымова. „Домъ“ В. Тардова. „Чудо герой“ Джона Синга, „Слѣпая любовь“ Н. Грушко, миніат. Куприна, М. А. Любимова, О. Дымова, М. А. Потапенко, С. Юшкевича и др. Намѣчены къ печатанію въ слѣдующихъ книгахъ: „Осеннія скрипки“ И. Сургучева. „Начало карьеры“ В. Рышкова. „Вѣра Мирцева“ Л. Урванцова, „Кровь“ С. Шиманскаго и др. **ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГОДЪ** съ 1 Января—8 руб. Новые годовые (съ 1-го января) подписчики получать всѣ вышедшіе №№ со всѣми приложеніями. Отдѣленый № 20 коп,

Главная контора: Петроградъ, Вознесенскій пр. д. 4. Телеф. 16—69. (4—2)

## ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებული, საუცხოოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სმაზარეულო, ცხელი და ცივი წყლით სამანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი. მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (Წ)

ახლახან გაიხსნა

# ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ

## პროფეზორის ა. ს. ახვლედიანისა

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

---

1 მაისიდან ქალაქ თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

# ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონტი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი „წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** ოლგინსკი, 6.

ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული ილუსტრირებული ეშმაკის გამოცემა

# ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲨᲠᲐᲚᲘ

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და **თეგუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია

**თანამშრომლები:** ალბერთიანი, ალადაშვილი, ეშმაკი, ეშმაკი, ეშმაკუნა, ბაბუა, ბალანჩივაძე, ბალანჩივაძე, ბალანჩივაძე